

# სეტყვისგან დაზარალებული ხოვლელი ფერმერები ხილის გადამამუშავებელ საწარმოებში ვაშლის ჩაბარებას დღეიდანვე შეძლებენ

07 სექტემბერი 2021

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში მოსული სეტყვის შედეგად ადგილობრივებს ვაშლისა და ყურძნის მოსავალი დაუზიანდათ. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა, ადგილზე დაათვალიერა დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და ფერმერებს ვაშლის ჩაბარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გააცნო. კერძოდ, 10 სექტემბრიდან საწარმოებში არასტანდარტული ვაშლის ჩაბარება იწყება, თუმცა სიტუაციიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით ხოვლელი ფერმერები სეტყვისგან დაზიანებული ვაშლის ჩაბარებას 8 სექტემბრიდან შეძლებენ. როგორც შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულმა აღნიშნა, ზარალის დამთვლელი სპეციალური კომისია ზარალს შეისწავლის.